მედიის ინსტიტუტი

28.11.2024 - 28.09.2025

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში ჩადენილ უფლებადარღვევებზე რეაგირებისა და საჯარო განცხადებების ანალიზი

2025

Media Institute
მედიის ინსტიტუტი

მიმდინარე პროტესტის ფარგლებში ჩადენილ უფლებადარღვევებზე რეაგირებისა და საჯარო განცხადებების ანალიზი

(2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 სექტემბერი)

მონიტორინგის ანგარიში

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფიკო ბებერაშვილი

ხელმძღვანელი: ნინო ჩალაძე

2025

სარჩევი

შესავალი..... 3

აქციის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენელთა მიმართ
განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირება..... 4

მართლმსაჯულების ორმაგი სტანდარტი..... 10

საპროტესტო მოძრაობის მიმართ წარმოებული
მადისკრედიტირებელი კამპანია 15

სამართლებრივი ანალიზი..... 19

დასკვნა 23

რეკომენდაციები..... 25

შესავალი

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ საპროტესტო აქციების კონტექსტში მომხდარი უფლებადარღვევების უარყოფამ და მათზე რეაგირებისთვის შესაბამისი ზომების გამოუყენებლობამ დამკვიდრებული პრაქტიკის სახე **2024 წლის 28 ნოემბრიდან ქვეყანაში მიმდინარე პროტესტის** ფარგლებში მიიღო. თუმცა, როგორც 2023, ასევე 2024 წელს „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე აქციების დროს პროტესტის მონაწილეთა მიმართ სპეციალური საშუალებების [1] თვითნებურ და მიზანმიმართულ გამოყენებაზე, უკანონო დაკავებებზე, დაკავების თანმხლებ ძალადობაზე, მათ შორის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე [2] და სხვა სახის უფლებადარღვევების შემთხვევებზე [3] პასუხისმგებელი *არც ერთი პირი არ არის დასჯილი* ან ბრალდებული[4]. აღსანიშნავია, რომ როგორც 2023, ასევე 2024 წლის „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციებზე [5] სამართალდამცავი ორგანოების

---

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრი (2023). *„შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში)“,* გვ.18. იხ. ბმული [26.09.2025].

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2023). *„ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ - 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“,* გვ. 43. იხ. ბმული [26.09.2025].

იხ. ასევე: World Organisation Against Torture (OMCT), *“Briefing note Torture and Ill-Treatment During Protests and Suppression of Political Dissent in Georgia in November-December 2024”*, March 2025, იხ. ბმული [26.09.2025].

[3] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2024). *„საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ“*, გვ. 19-20. იხ. ბმული [26.09.2025].

[4] „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ - 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი“, გვ. 143. იხ. ბმული [26.09.2025].

[5] NEWS.On.ge. *„საგამოძიებომ მსს-ს თანამშრომლების უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებაზე გამოძიება დაიწყო“,* 08.03.2023. იხ. ბმული; „ნეტგაზეთი“, *„საგამოძიებო სამსახურში აქციებზე ძალის გადამეტებაზე 80 შეტყობინება შევიდა“,* 07.05.2024; იხ. ბმული [26.09.2025].

წარმომადგენელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების საფუძვლით პარტია „ქართული ოცნება“ *მხოლოდ ფორმალურად,* ან ზოგიერთ შემთხვევაში *საერთოდ არ იწყებდა გამოძიებას*. პარტია „ქართული ოცნება“ 2024 წელს რეაგირებას არ ახდენდა და სამოქალაქო აქტივისტების, ადამიანის უფლებადამცველების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და „რუსული კანონის“ სხვა მოწინააღმდეგეთა დევნისთვის - პარტიის კონკრეტული წარმომადგენლების ჩართულობით ან/და ორგანიზატორობით თავადვე აქტიურად იყენებდა *სატელეფონო მუქარებს*, *ფიზიკურ ძალადობას, კერძო საკუთრების დაზიანებისა*[6] და *ძალადობის წახალისების მექანიზმებს*.

2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების ფარგლებში *უფლებადარღვევების შემთხვევებისა და ფორმების ზრდის* პარალელურად, გაფართოვდა იმ პირთა წრეც, რომელთა მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევას სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.

აქციის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირება

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძის[7] მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის 2028 წლამდე გადადებას შეეხებოდა, მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. მშვიდობიანი დემონსტრაციების ფარგლებში გდდ-ის, საპატრულო პოლიციისა და „ქართული ოცნების“ მიერ პირდაპირ ან ირიბად წახალისებული არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ პროტესტის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სიტყვიერი/ფიზიკური შეურაცხყოფით, **ფიზიკური ძალადობით, სპეციალური საშუალებების არაპროპორციულად გამოყენებით, წამებით, არაადამიანური, დამამცირებელი,** არასათანადო მოპყრობითა და უკანონო დაკავებებით [8] სისტემურად ირღვეოდა მათი უფლებები და თავისუფლებები. 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთა 79.5% მიუთითებდა **არასათანადო მოპყრობაზე**, ხოლო 2025 წლის 2 თებერვალს „თბილისი

---

[6] „რადიო თავისუფლება“, *„ასობით ადამიანს დაურეკეს მუქარის შემცველი ზარით - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური“*, 24.05.2024; იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„8 მაისის თავდასხმებზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო“*, 09.05.2024; იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„ჰოსტერები ოფისების და სახლების კედლებზე, წარწერები მანქანებზე - თბილისში სიძულვილის ახალი კამპანია დაიწყო“*, 09.05.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[7] „საქართველოს პრემიერ-მინისტრი“.

[8] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სიახლეების ველი, *„ტერორის 10 დღე მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ“*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

მოლთან“ დაკავებული 25 პირიდან - 22, ანუ 88%.[9] მიუხედავად პროტესტის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევების მასშტაბურობისა, 2024 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი დანაშაულისთვის არ დასჯილა არცერთი სამართალდამცველი.

„ქართული ოცნების“ წევრები საჯარო განცხადებებში ძირითადად მხოლოდ აქციის მონაწილეების მიერ *„აგრესიულ თავდასხმებზე“*, *„ქვების სროლაზე“*, პიროტექნიკის გამოყენებაზე, ცეცხლის დანთებასა და ბარიკადების მოწყობაზე, *„განსაკუთრებული სისასტიკით ჰოლიციელების გამოწვევასა და წონასწორობიდან გამოყვანაზე“* აპელირებდნენ [10] და არ განიხილავდნენ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის, წყლის ჭავლისა და ე.წ. „წიწაკის სპრეის“ როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომბინირებულად, **„სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ფორმით გამოყენების“,** [11] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული მიზანმიმართული ძალადობის, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებს, რომლებიც, მათი აზრით, დემონსტრანტების ქმედებებზე „შესაბამის რეაგირებას“ [12] წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ასევე აპელირებდნენ პროტესტის მონაწილეების მიერ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლაზეც, რაც 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე აქციების ფარგლებში არ დაფიქსირებულა. „ქართული ოცნების“ წევრი **ირაკლი კობახიძე** გდდ-ის მიერ აქციის მონაწილეების წამების, ცემის, მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის სერიოზულ დანაშაულებს „სამწუხარო ინციდენტებად“[13] მოიხსენიებდა, რასაც, მისი თქმით, სისტემური სახე არ ჰქონია. დემონსტრანტებზე განხორციელებულ ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს „ცალკეულ ინციდენტებს“ უწოდებდა **კახა კალაძეც,**[14] „ძალის არასწორად გამოყენებას“ და „ძალადობის ნაწილში პატარა გადამეტებას“ - **ნინო წილოსანი**, [15] **შალვა პაპუაშვილი** კი - „რამდენიმე ექსცესს“.[16]

---

[9] საქართველოს სახალხო დამცველი (2025). საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში *„საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“*, გვ. 77. იხ. ბმული [29.09.2025].

[10] Imedinews.ge, *ალექსანდრე დარახველიძის განცხადება,* 29.11.2024; იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 30.11.2024; იხ. ბმული; *დიმიტრი ხუნდაძის განცხადება,* 30.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[11] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სიახლეების ველი, *„ტერორის 10 დღე მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ“*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[12] პირველი არხი, *„კახა კალაძე - არავის აქვს უფლება, ჰოლიციელთან მივიდეს, შეაგინოს, ბოთლები და ქვები ესროლოს, ამას ყოველთვის მოჰყვება შესაბამისი რეაგირება“*, 29.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[13] Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება*, 29.11.2024; იხ. ბმული; *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 30.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[14] „ქალაქ თბილისის მერი“.

[15] „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე“.

[16] Imedinews.ge, *კახა კალაძის განცხადება,* 30.11.2024; იხ. ბმული; *ნინო წილოსანის განცხადება,* 30.11.2024; იხ. ბმული; *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 01.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

2024 წლის 30 ნოემბერს, გამთენიისას, აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, **ზვიად მაისაშვილს,** პოლიცია ფიზიკურად გაუსწორდა. [17] გავრცელებულ ვიდეოკადრში [18] ჩანს, რომ ტროტუარზე დავარდნილ ზვიად მაისაშვილს სპეციალური დანიშნულების რაზმის სხვადასხვა თანამშრომელი *სახეში წიხლს რამდენჯერმე ურტყამს*. აღნიშნულ ქმედებას **ირაკლი კობახიძემ „ცალკეული ინციდენტი“ უწოდა** და პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ კონკრეტულმა პოლიციელმა *გადაჭარბა საკუთარ უფლებამოსილებას.* [19] მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ ზვიად მაისაშვილზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, თუმცა მხოლოდ ფორმალურად - დამნაშავეები დღემდე არ არიან იდენტიფიცირებულნი. ზემოაღნიშნულზე დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ირაკლი კობახიძემ გააკეთა განცხადება, რომ *„იყო მტკიცებულებების, იდენტიფიცირების პრობლემა, იდენტიფიცირებადი არ არიან ეს პირები“*, რის გამოც ძალადობის ფაქტებს ვერ იძიებენ. [20] ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად საჯაროდ გავრცელებული ვიდეოკადრისა, ზვიად მაისაშვილი ძალადობის ფაქტიდან 8 თვის შემდეგ ცნეს დაზარალებულად.[21]

2024 წლის 3 დეკემბერს შსს-ს ქვედანაყოფების მიერ აქციის არაპროპორციული და ძალადობრივი ფორმებით დარბევისას, სავარაუდოდ ცრემლსადენი გაზის კაფსულა სახის არეში მოხვდა 21 წლის **ალექსანდრე თირქიას,** რის შედეგადაც მან მძიმე დაზიანებები მიიღო, რეანიმაციულ განყოფილებაში, მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა და დღესაც კი რეაბილიტაციის კურსს გადის. „ქართული ოცნების“ წევრმა **მამუკა მდინარაძემ** [22] თავის განცხადებაში დაშავებულ ახალგაზრდაზე გაავრცელა ვერსია, თითქოს, ალექსანდრე თირქიას თქმით, მას ე.წ. „ფეიერვერკის“ ნაწილი მოხვდა, რასაც ექიმები ეჭვქვეშ აყენებდნენ.[23] „ქართულ ოცნებას“ დღემდე არ

---

[17] „რადიო თავისუფლება“, *„ტვინის შერყევა აქვს, ცხვირიც გაუტეხეს - რა (არ)იციან ძმები მაისაშვილების მშობლებმა შვილებზე“*, 30.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[18] სოციალური ქსელი „ინსტაგრამი“, *გვერდის „tavisupleba“ გავრცელებული ვიდეო*, 30.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[19] „რადიო თავისუფლება“, *„პრემიერი: ვნახეთ პოლიციის „ცალკეული ინციდენტები“ და მომიტინგეების "სისტემური ძალადობა“*, 30.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[20] „TV პირველი“, სიახლეების ველი, *„კობახიძე მოქალაქეებზე ძალადობის ფაქტებს აღიარებს, თუმცა ამტკიცებს, რომ ფაქტს ვერ იძიებენ“*, 01.08.2025; იხ. ბმული [01.10.2025].

[21] „რადიო თავისუფლება“, *„8 თვის შემდეგ დაზარალებულად ცნეს ზვიად მაისაშვილი, რომელსაც აქციაზე სპეცრაზმელმა სცემა“*, 13.08.2025; იხ. ბმული [01.10.2025].

[22] „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი“ (2025 წლის 3 სექტემბრამდე - „საქართველოს პარლამენტის წევრი“).

[23] „რადიო თავისუფლება“, *„ვერ ვხვდები, როგორ გადავრჩით“ - როცა პოლიცია გაზის კაფსულებს გესვრის და ჭყლეტაში ხვდები“*, 03.12.2024, იხ. ბმული; „პირველი არხი“, *„ინგოროყვას კლინიკაში აცხადებენ, რომ 21 წლის ალექსანდრე თირქია მოხსნილია ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან, თუმცა პაციენტის მდგომარეობა საყურადღებოა და მძიმე რჩება“*, 10.12.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *„მამუკა მდინარაძე აქციაზე დაშავებულ 22 წლის ახალგაზრდაზე“*, 03.12.2024, იხ. ბმული [01.10.2025].

დაუიდენტიფიცირებია შსს-ს ის წარმომადგენელი, რომლის ქმედებითაც ალექსანდრე თირქიამ მძიმე დაზიანებები მიიღო.

2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე აქციებზე შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფისა თუ არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მიზანმიმართული ფიზიკური ძალადობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ობიექტებს პროტესტის მონაწილეებთან ერთად, **ჟურნალისტებიც** წარმოადგენდნენ. 2024 წლის 29 ნოემბერს, გამთენიისას, ტელეკომპანია „ფორმულის“ ჟურნალისტ **გურამ როგავას** პირდაპირ ეთერში თავს დაესხა სპეციალური დანიშნულების რაზმის ერთ-ერთი თანამშრომელი და ხელის რამდენჯერმე მოქნევით *მუშტი ჩაარტყა თავის არეში*, რის შედეგადაც გურამ როგავამ სახის ძვლებისა და კისრის მალის მოტეხილობა[24] მიიღო. გურამ როგავაზე თავდამსხმელის იდენტიფიცირების შესახებ დასმულ შეკითხვაზე გდდ-ის ყოფილმა დირექტორმა *ზვიად ხარაზიშვილმა* (ე.წ. „ხარება“) ჟურნალისტს უპასუხა: *„რა გურამ როგავა... არ ვიცი, ვინ არის, რა გადამყოლე ამ შენს გურამ როგავას“*.[25] 2025 წლის 12 თებერვალს საქართველოს პარლამენტის შენობაში გურამ როგავამ მასზე განხორციელებულ ძალადობაზე შეკითხვები დაუსვა „ქართული ოცნების“ წევრ **ნინო წილოსანს**, რომელმაც ჟურნალისტზე თავდასხმას „სამწუხარო ინციდენტი“ უწოდა, თავად გურამ როგავას კი - „თავიდან ბოლომდე არასწორი ადამიანი“, ვინაიდან *„ამ პატარა ინციდენტმა, ვიღაცის შეცდომამ“* მისცა ჟურნალისტს უფლება „რაღაც უაზრო კითხვები“ დაესვა.[26] გურამ როგავას განცხადებით, მასზე ძალადობიდან 18 დღის შემდეგაც კი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არავინ ჰყავდა გამოკითხული და არც სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ჰქონდა ამოღებული.[27] გურამ როგავას 2024 წლის დეკემბერში მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირი კი *დღემდე არ არის იდენტიფიცირებული*.

2024 წლის 7 დეკემბერს პირდაპირ ეთერში ნიღბიანი ძალადობრივი ჯგუფი - ე.წ. „ტიტუშკები“ თავს დაესხნენ „TV პირველის“ ჟურნალისტ **მაკა ჩიხლაძესა** და მის ოპერატორ **გიორგი შეწირულს**.[28] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა *საპატრულო პოლიციის ორი ჯგუფი,*

---

[24] „რადიო თავისუფლება“, *„ფორმულის' ჟურნალისტს, გურამ როგავას სპეცრაზმელმა სცემა“*, 29.11.2024; იხ. ბმული; *„ჟურნალისტ გურამ როგავას სახის ძვლები და კისრის მალა აქვს მოტეხილი“*, 29.11.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[25] „რადიო თავისუფლება“, *„სპეცრაზმელი არ იღლება“ - სპეცრაზმის სანქცირებული უფროსი „ხარება“*, 04.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[26] „რადიო თავისუფლება“, *„არასწორი ადამიანი ხარ""- წილოსანი როგავაზე თავდასხმას „სამწუხარო ინციდენტს“ უწოდებს“*, 12.02.2025; იხ. ბმული [01.10.2025].

[27] „რადიო თავისუფლება“, *„18 დღე გავიდა, ჯერ არავინ გამოუკითხავთ“- გურამ როგავა დაზარალებულად ცნეს“*, 16.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[28] „ნეტგაზეთი“, *„ტვ პირველის ჟურნალისტებს „ტიტუშკები“ თავს დაესხნენ“*, 07.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

რომელთაც ძალადობის ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ.[29] იმავე ღამეს საპატრულო ეკიპაჟის ჯგუფი გულგრილი იყო მსახიობ *გიორგი მახარაძეზე* ფიზიკური ძალადობის მიმართ, რასაც მსახიობის განცხადებით შეესწრნენ პოლიციელები.[30] „ქართული ოცნების“ წევრმა **მამუკა მდინარაძემ** მაკა ჩიხლაძესა და მის ოპერატორზე ფიზიკურ ძალადობაზე საუბრისას განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი 99%-ით შესაძლებელია ყოფილიყო *„მიზანმიმართული პროვოკაცია ჩამქრალი მუხტის ფონზე მინიმუმ ერთკვირიანი საქმეების გასაღვიძებლად“*.[31] მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე განხორციელებული ძალადობა აქციის მონაწილეებს დაუკავშირა **ნინო წილოსანმაც,** რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულს *„მხოლოდ ის გააკეთებდა, ვისაც აქციების არასწორად წარმართვა და ძალადობის პროვოცირება სურდა“.*[32] მსგავსი განცხადებები ასევე გაჟღერდა „საქართველოს პარლამენტის წევრ“ ვლადიმერ ბოჟაძესა და „თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ“ ზურაბ ქადაგიძის მიერ.[33]

ზემოაღნიშნულ ნარატივს სოციალურ ქსელებში „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერი ე.წ. „ტროლ-ბოტებიც“ ავრცელებდნენ.[34] **ირაკლი კობახიძეს** მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე განხორციელებულ ძალადობაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მეტიც, მან პრესკონფერენციაზე ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა, თუ რატომ არ გმობდა ამ ძალადობას, შემდეგი სიტყვებით უპასუხა - *„გაჩუმდით, თორემ გაგაძევებთ, ნუ ტლიკინებ“.*[35] მაკა ჩიხლაძე და გიორგი შეწირული დაზარალებულებად 2024 წლის დეკემბერში ცნეს. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო აღნიშნული ძალადობის ფაქტზე გამოძიება, თუმცა, სხვა დაზარალებულთა საქმეების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც *ფორმალურად* - მაკა ჩიხლაძის განცხადებით, სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერების კონკრეტული ქუჩებიდან ამოღებაზე მან თავად

---

[29] „TV პირველი“, *„დადასტურებულია: პატრული უმოქმედოდ უყურებდა, როგორ უსწორდებოდნენ ტიტუშკები „ტვ პირველის“ ჯგუფს“*, 07.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[30] „რადიო თავისუფლება“, *„მსახიობ გიორგი მახარაძეს თავს დაესხნენ და იძალადეს“*, 07.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[31] Imedinews.ge, *„მამუკა მდინარაძე „ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმაზე: ჟურნალისტზე თავდასხმა და ამ ფორმით მით უმეტეს, არის ამორალური. ვთხოვ საგამოძიებო ორგანოებს სწრაფ ვადებში დაადგინონ ეს ყველაფერი“*, 07.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[32] Imedinews.ge, *„ნინო წილოსანი: „ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმის უმძიმესი კადრებია, ამას მხოლოდ ის გააკეთებდა, ვისაც ძალადობის პროვოცირება სურს. იმედი მაქვს, დამნაშავეს სათანადო პასუხი გაეცემა“*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[33] Imedinews.ge, *„ვლადიმერ ბოჟაძე „ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმაზე: ეს არის პროვოკაცია, ჩაიდინა მან, ვისაც უნდა კიდევ უფრო მეტი რადიკალიზაცია, მეტი დაპირისპირება - სახელმწიფო იმოქმედებს კანონის შესაბამისად“*, 07.12.2024; იხ. ბმული; *„ზურაბ ქადაგიძე „ტვ პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე მომხდარ თავდასხმაზე: მაშინ, როცა პროცესები უნდა დაწყნარდეს და მიზანმიმართულად, პირდაპირ ეთერში უმძიმესი, უსასტიკესი დანაშაული ხდება - ასეთი დანაშაული ქვეყნის მტერს აწყობს!“*, 07.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[34] „TV პირველი“, *„ოცნებამ“ ნაცემი ჟურნალისტების საქმის ჩაფარცხვა დაიწყო - საქმეში ტროლ-ბოტები ჩაერთნენ“*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[35] „TV პირველი“, *„პრემიერის ზრდილობა: „გაჩუმდი, ნუ ტლიკინებ“*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

მიუთითა გამომძიებელს და, მისი აზრით, *„საქმის გამოძიება რომ სდომოდათ, 8 თვის წინ უნდა გაეკეთებინათ ეს, ვიდრე სამხილები განადგურდებოდა“*.[36] მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე განხორციელებულ ძალადობაზე პასუხისმგებელი არცერთი პირი *დღემდე არ არის* სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული პარტია „ქართული ოცნების“ მიერ წახალისებული ან/და ირიბად/პირდაპირ მხარდაჭერილი იყო. აღნიშნულზე მიანიშნებს საჯაროდ გავრცელებული ვიდეოც, რომელიც ასახავს ძალადობის ფაქტამდე რამდენიმე წუთით ადრე პოლიციასა და ე.წ. „ტიტუშკებს“ შორის არსებულ კოორდინაციას.[37]

სპეციალურ საგამოძიებო სამსახური 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენელთა მიერ **სულ მცირე 297 პირის** *(აქციის მონაწილის)* მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აწარმოებს გამოძიებას, რომელიც ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარეობს. [38] აღნიშნულ უფლებადარღვევებზე პასუხისგებაში დღემდე არცერთი სამართალდამცავი არ არის მიცემული.

2025 წლის 2 თებერვალს „თბილისი მოლთან“ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ერთ-ერთ საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოკადრზე[39] პირდაპირ ჩანს და იდენტიფიცირებადია დამნაშავე - გდდ-ის ყოფილი დირექტორი **ზვიად ხარაზიშვილი**, რომელიც წიხლს ურტყამს აქციის მონაწილეს. თუმცა მის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ზომების მიღების ნაცვლად *ზვიად ხარაზიშვილს* სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლების მიერ სხვადასხვა სახის აღჭურვილობის დაკარგვის/დაზიანების საფუძვლით დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს.[40]

მიმდინარე საპროტესტო აქციების ფარგლებში, დემონსტრანტების მიმართ შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული *ფიზიკური ძალადობის შემთხვევების უგულებელყოფისა და ტრივიალიზაციის* გარდა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პარტია „ქართული ოცნება“ არათუ არ

---

[36] „TV პირველი“, *„ზღაპრები, რასაც ახლა ჰყვებიან, შეუძლიათ, ხატია სიჭინავას და სოფო ბედიას ქმარს მოუყვნენ“- მაკა ჩიხლაძე“*, 01.08.2025; იხ. ბმული [01.10.2025].

[37] პლატფორმა „X“, „Civil.ge-ის“ გვერდი, *"Footage, taken minutes before titushky (government paid thugs) raided opposition Coalition for Change office, and attacked its members and TV Pirveli journalist and cameraman, shows smooth coordination between the police and titushky.”*, 08.12.2024; იხ. ბმული [01.10.2025].

[38] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) და სხვ. (2025). *„ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ - 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი“*, გვ. 137. იხ. ბმული [01.10.2025].

[39] სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, „ნეტგაზეთის“ გვერდი, *ზვიად ხარაზიშვილი (ხარება) დაკავების მომენტში მოქალაქეს წიხლს ურტყამს“*, 02.02.2025; იხ. ბმული [01.10.2025].

[40] „TV პირველი“, *„რეჟიმმა „ხარება“ დაზარალებულად ცნო“*, 22.03.2025, იხ. ბმული [02.10.2025].

იძიებს სამართალდამცავების ძალადობის ფაქტებს, არამედ **ღირსების ორდენით აჯილდოვებს** აქციის მონაწილეების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირებს - *ზვიად ხარაზიშვილს,* შსს-ს ყოფილ მინისტრ *ვახტანგ გომელაურს,* შსს-ს „მინისტრის მოადგილე“ *ალექსანდრე დარახველიძეს* და სხვ.[41]

- ## მართლმსაჯულების ორმაგი სტანდარტი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს პარტია „ქართული ოცნების“ **მართლმსაჯულების ორმაგი სტანდარტები -** ის მიდგომები და რეაგირების მექანიზმები, რომელთაც პარტიასთან პირდაპირ/ირიბად დაკავშირებული პირებისა და აქციის მონაწილეების მიმართ იყენებს. 2024 წლის 16 დეკემბერს თბილისის მეტროში ნიღბიანი ე.წ. *„ტიტუშკები“ ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხოფას აყენებდნენ* ვაგონსა და ესკალატორზე მყოფ პირებს, რაზეც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს რეაგირება არ მოუხდენიათ, ვინაიდან მეტროსადგურებში *„არავინ არაფერს არ ამტვრევდა“* და *„არავინ არაფერს არ აზიანებდა“*. ნიღბიანმა პირებმა მოგვიანებით რუსთაველის გამზირზეც გადაინაცვლეს, სადაც გააგრძელეს აქციის მონაწილეების შეურაცხყოფა. საპატრულო პოლიციის ჯგუფმა აღნიშნული პირები რუსთაველის გამზირზე დააკავა, თუმცა ისინი რამდენიმე დღეში 2 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.[42] მითითებული შემთხვევის გარდა, პროტესტის მონაწილეები არაერთხელ გახდნენ არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების სამიზნე. *მაგალითად,* 2024 წლის 7 დეკემბერს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მყოფ აქციის მონაწილეებს თავს ე.წ. „ტიტუშკები“ დაესხნენ, რომელთაგან ერთს **ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა** და იმუქრებოდა; აღნიშნულ ღამესვე მოხდა როგორც მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე, მსახიობ გიორგი მახარაძეზე თავდასხმა, ასევე „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ოფისში კობა ხაბაზზე **ფიზიკური ანგარიშსწორება**.[43] 2024 წლის 17 დეკემბერს აქციაზე ყოფნის დროს **ცივი იარაღით** თავს დაესხნენ და დაზიანებები მიაყენეს გიორგი ვაშაძეს, თუმცა თავდამსხმელი, არაერთი მიმართვის მიუხედავად, პოლიციამ არ დააკავა და არც დანაშაულის იარაღი

---

[41] „ფორმულა“, *„პრეზიდენტად დასმულმა ყაველაშვილმა შსს-ს სანქცირებული მაღალჩინოსნები დააჯილდოვა“,* 30.01.2025, იხ. ბმული [02.10.2025].

[42] „TV პირველი“, *„თბილისის მეტროში ე.წ. ტიტუშკები გამოჩნდნენ - ნიღბიანი პირები ახალგაზრდებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ“,* 16.12.2024, იხ. ბმული; 19.12.2024, იხ. ბმული [02.10.2025].

[43] „TV პირველი“, *„სანაპიროზე მყოფ აქციის მონაწილეებს იარაღიანი „ტიტუშკები“ მიუგზავნეს“,* 07.12.2024, იხ. ბმული, იხ. ბმული; *„კობა ხაბაზს ტიტუშკები თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ“,* 07.12.2024, იხ. ბმული [03.10.2025].

ამოიღო;[44] 2024 წლის 25 დეკემბერს „ქალთა მარშის“ მონაწილეებზე სიტყვიერი შეურაცხყოფის განხორციელებისას ერთ-ერთმა ე.წ. „ტიტუშკამ“ მარშის მონაწილე ქეთევან მესხს **სახეში მუშტი ჩაარტყა** - ადგილზე იმყოფებოდნენ თბილისის მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ.[45]

ძალადობრივი ჯგუფები თავს **არაერთხელ დაესხნენ** დემონსტრანტებს, სხვადასხვა მარშისა თუ გაფიცვის მონაწილეებს.[46] 2025 წლის 21 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი შენობიდან რუსთაველის გამზირისკენ მომავალ მარშს თავს დაესხა ორი პირი - ნიკოლოზ ჭკუასელი და ანდრო სირაძე, რომელთაც **ხელკეტი და ბასრი საგანი**, სავარაუდოდ, ე.წ. „მაჩეტე“ ჰქონდათ თან. სასამართლომ ნიკოლოზ ჭკუასელს სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა, ანდრო სირაძეს კი 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.[47] „ტიტუშკების“ მხრიდან **ფიზიკური ანგარიშსწორების, ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფის** ობიექტები პროტესტში სხვადასხვა ფორმით ჩართული პირები ინდივიდუალურადაც გახდნენ, *მაგალითად*, მსახიობი და მომღერალი ვანიკო თარხნიშვილი, მუსიკოსი Kordz-ი, საქართველოს მე-5 პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და აქციების სხვა მონაწილეები.[48]

2025 წლის 5 მაისს აქციის მონაწილეებს ნუცა მახარაძეს, ქეთი ჯაჯანაშვილსა და სალომე სარიშვილს კორპუსის ლიფტთან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ერთმა პირმა, ლიფტის კაბინაში კი მათ **ე.წ. წიწაკის სპრეი და ბრილიანტის მწვანე შეასხა,** რის შედეგადაც დაზარალებულებმა სახის დამწვრობა მიიღეს - გამოძიების მიზნებისთვის სამართალდამცავებს არ მიჰქონდათ ის ბოთლი,

---

[44] „ფორმულა“, *„აქციაზე გიორგი ვაშაძეს თავს დაესხნენ“,* 17.12.2024, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„სიკვდილის ბრიგადები თბილისში და დაუსჯელი დამნაშავეები - „პირველებმა“ ტიტუშკების ვინაობა გაშიფრა“,* 18.12.2024, იხ. ბმული [02.10.2025].

[45] „TV პირველი“, *„პირველი ინტერვიუ ქალთან, ვისაც „ოცნების“ ტიტუშკები თავს დაესხნენ და სცემეს“,* 26.12.2024, იხ. ბმული, იხ. ბმული; 27.12.24, იხ. ბმული [03.10.2025].

[46] „TV პირველი“, *„ნახალოვკაში მარშის მონაწილეებს თავს კვერცხებით შეიარაღებული ტიტუშკები დაესხნენ“,* 11.01.2025, იხ. ბმული; *„დოლიძეზე გაფიცულ მოქალაქეებს ე.წ. ტიტუშკები ფიზიკურად გაუსწორდნენ (ვიდეო)“,* 15.01.2025, იხ. ბმული, 16.01.2025, იხ. ბმული; *„თავდასხმების სერია „ოცნების“ პროპაგანდისტებისგან - გომელაურის ჰოლიცია არ რეაგირებს“,* 06.04.2025, იხ. ბმული; *„დაპირისპირება ერთობის მარშზე - მსვლელობის მონაწილეებს, სავარაუდოდ, „ტიტუშკები“ მიუცვივდნენ“,* 10.06.2025, იხ. ბმული; *„აქციის მონაწილეებზე თავდამსხმელი ე.წ. ტიტუშკები „ფარმა დეპომ“ შეიფარა“,* 19.07.2025, იხ. ბმული [04.10.2025].

[47] სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, „ჰუბლიკის“ გვერდი, 11.06.2025, იხ. ბმული [04.10.2025].

[48] „TV პირველი“, *„თავდასხმა ვანიკო თარხნიშვილზე - შემოიდება თუ არა თარიზე კიდევ ერთი სასტიკი ანგარიშსწორების საქმე?“,* 07.07.2025, იხ. ბმული; *„თავდასხმა პრეზიდენტზე - ახალ კადრებში ორი თავდამსხმელის იდენტიფიცირება შესაძლებელია (ვიდეო)“,* 20.02.2025, იხ. ბმული, 27.02.2025, იხ. ბმული; *„მოქალაქე წერს, რომ სოლოლაკში თავს ტიტუშკები დაესხნენ“,* 13.04.2025, იხ. ბმული; *„აქტივისტი წერს, რომ „ტიტუშკები“ თავს დაესხნენ, მის მეგობარს კი მიყენებული დაზიანების გამო ოპერაცია დასჭირდა“,* 14.04.2025, იხ. ბმული; „რადიო თავისუფლება“, *„თავს დაესხნენ კიდევ ერთ მუსიკოსს, Kordz-ს, რომელმაც „ოლე ოლა“ შეასრულა“,* 09.07.2025, იხ. ბმული;

რომლითაც თავდამსხმელმა ბრილიანტის მწვანე შეასხა აქტივისტებს.[49] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება“ ე.წ. „ტიტუშკების“ დაკავების შემთხვევაში **ლოიალური სანქციებით** - სიტყვიერი შენიშვნით, მცირე ოდენობის თანხით დაჯარიმებით - შემოიფარგლება, ხოლო აქციის მონაწილეებს სხვადასხვა საფუძვლით უკანონოდ და თვითნებურად 4 000-5 000 ლარით აჯარიმებს ან პატიმრობას უფარდებს, რაც *მართლმსაჯულების ორმაგ სტანდარტებზე* მეტყველებს.

2025 წლის 3 სექტემბერს პეტრე მელიქიშვილის გამზირზე კახა კალაძის საარჩევნო შტაბის გახსნისას გამართულ აქციაზე დემონსტრანტებსა და მედიის წარმომადგენლებს როგორც „ქართული ოცნების“ წევრებმა, ასევე მათმა მხარდამჭერებმა ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[50] „ქართული ოცნების“ წევრმა *(„პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა“)* **ბექა ოდიშარიამ** ჟურნალისტებსა და მოქალაქეებს აგინა[51], გიორგი ვოლსკიმ[52] კი პირჯვარი გადასწერა. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ წევრები *მხოლოდ ბექა ოდიშარიას მიმართ* აქციის მონაწილის მიერ ნათქვამ ფრაზას გამოეხმაურნენ[53] და არ გააკეთეს კომენტარი დემონსტრანტების, ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ/ფიზიკურ შეურაცხყოფაზე.

2025 წლის 8 სექტემბერს კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან მიმდინარე აქციაზე დემონსტრანტებსა და მედიის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებიც ადგილზე მყოფმა პოლიციამ არ დააკავა.[54] ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ძალადობრივი ჯგუფები წარმოადგენენ როგორც კახა კალაძის შტაბის წევრებს, ასევე მერიის სხვადასხვა *სამსახურში დასაქმებულ პირებს*.[55] შსს-მ გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო, თუმცა დაკავებული ორი მოძალადე, რომელთაგან ერთმა ქალ დემონსტრანტს სახეში ხელი გაარტყა, ხოლო მეორემ ხელკეტი ჩაარტყა აქციის მონაწილეს და პოლიციელს ეუბნებოდა, რომ *„მისიანი*

---

[49] „რადიო თავისუფლება“, *„თავდასხმა „ზელიონკით“ - ნუცა მახარაძე ჰყვება, როგორ შეღებეს ის და მისი სამი მეგობარი მწვანედ ლიფტში“*, 08.05.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„თავდასხმა ქალ აქტივისტებზე - დაზარალებულებს პირველი ხარისხის დამწვრობა აღენიშნებათ“*, 06.05.2025, იხ ბმული [04.10.2025].

[50] „პუბლიკა“, *„ქარტია: მკაცრად ვგმობთ „პუბლიკის" ჟურნალისტზე ძალადობას, პროკურატურას მოვუწოდებთ, ინციდენტი სწრაფად გამოიძიოს“*, 04.09.2025; იხ. ბმული [02.10.2025].

[51] „რადიო თავისუფლება“, ახალი ამბების ველი, *„ნატ*ნაურები ხარ“, „ყ*ის მონები“ - ბექა ოდიშარიამ ჟურნალისტს და მოქალაქეებს აგინა“*, 03.09.2025; იხ. ბმული [02.10.2025].

[52] „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე“.

[53] Imedinews.ge, *გურამ მაჭარაშვილის განცხადება*, 05.09.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება*, 04.09.2025, იხ. ბმული; *ნინო წილოსანის განცხადება*, 04.09.2025, იხ. ბმული; *ირაკლი კობახიძის განცხადება*, 05.09.2025, იხ. ბმული; *სოზარ სუბარის განცხადება*, 03.09.2025, იხ. ბმული [01.10.2025].

[54] „რადიო თავისუფლება“, *„კვლავ დაპირისპირება იყო კალაძის შტაბთან - პოლიცია მოძალადეებს არ აკავებს, არიან ნაცები მოქალაქეები“*, 08.09.2025; იხ. ბმული [02.10.2025].

[55] „TV პირველი“, *„ვინ დაესხა თავს კალაძის შტაბთან აქციის მონაწილეებს? - იდენტიფიცირებულია „ოცნების“ ე.წ. ტიტუშკები“*, 09.09.2025, იხ. ბმული; *„აქტივისტების ინფორმაციით, „ოცნების“ ე.წ. ტიტუშკების რიგებში მერიაში დასაქმებული პირებიც არიან“*, 20.09.2025, იხ. ბმული [02.10.2025].

იყო“, *ორ დღეში გაათავისუფლა იმ საფუძვლით*, რომ „დაზარალებულებმა გამოძიებასთან არ ითანამშრომლეს“, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა.[56] ნიშანდობლივია, რომ **სამართლებრივი რეაგირება არ განხორციელებულა** როგორც ზემოაღნიშნულ ორ უფლებადარღვევაზე, ასევე საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ასახულ იმ მოძალადეებზე, რომლებმაც არაერთ დემონსტრანტს სცემეს და ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს,[57] სანაცვლოდ კი სისხლის სამართლის წესით სხვისი ნივთის განადგურების, დაზიანების საფუძვლით დააკავეს **სტუდენტი მეგი დიასამიძე**, რომელმაც 2025 წლის 9 სექტემბრის აქციაზე კახა კალაძის შტაბის საარჩევნო ბანერს „რუსული ოცნება“ დააწერა. კახა კალაძემ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ *„ციხისთვის თავი თვითონ გაიმეტა“* მეგი დიასამიძემ, ირაკლი კობახიძემ კი მას *„ნაცი აქტივისტი, ტიტუშკა“* უწოდა.[58] აღკვეთის ღონისძიების სახით მეგი დიასამიძეს 2 000-ლარიანი გირაო შეეფარდა და სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა, ხოლო **ელენე ხოშტარია,** რომელმაც მეგი დიასამიძის სოლიდარობის მიზნით კახა კალაძის ბანერზე იგივე წარწერა გააკეთა, დღემდე პატიმრობაში რჩება გირაოს გადაუხდელობის გამო.[59]

„ქართული ოცნების“ წევრებმა 8 სექტემბრის აქციის შესახებ გაკეთებულ განცხადებებში[60] ამ შემთხვევაშიც მხოლოდ *პროტესტის მონაწილეების მიერ* „ბოთლების სროლაზე“, „შეურაცხყოფასა“ და „ტელეფონების წართმევაზე“ გაამახვილეს ყურადღება. **ნინო წილოსანმა** აღნიშნა, რომ *„მოძალადე, ფაშისტურ აქტივიზმში ჩართული ადამიანები, მათ შორის ქალები“* მსხვერპლებად არ უნდა გამოეყვანათ და რომ ისინი <u>არა მსხვერპლები, არამედ მოძალადეები</u> იყვნენ.[61]

---

[56] „რადიო თავისუფლება“, *„2 ადამიანი დააკავეს დემონსტრანტებზე ძალადობის გამო, ერთი დემონსტრანტი - ბანერის დაზიანების გამო“*, 10.09.2025, იხ. <u>ბმული;</u> *„აცხადებენ, რომ [გამოძიებასთან] არ ვითანამშრომლეთ, რაც აბსურდია - მოქალაქე, რომელსაც „ოცნების“ მხარდამჭერმა სილა გაარტყა“*, 12.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; *„რას ჰყვებიან კალაძის შტაბთან ნაცემი მოქალაქეები დაპირისპირებასა და ორ დღეში გამოშვებულ მოძალადეებზე?“*, 14.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [02.10.2025].

[57] „რადიო თავისუფლება“, *„კალაძის შტაბთან დაპირისპირებაში „იმედის“ ჟურნალისტიც მონაწილეობდა - ვინ სცემდა მოქალაქეებს“*, 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [02.10.2025].

[58] „ნეტგაზეთი“, *„მე გავიმეტე ციხისთვის თუ თვითონ გაიმეტა თავი? – კალაძე მეგი დიასამიძეზე“,* 11.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; „პუბლიკა“, *„ირაკლი კობახიძემ მეგი დიასამიძეს „ნაცი აქტივისტი, ტიტუშკა““„უწოდა“*, 11.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [04.10.2025].

[59] *„პუბლიკა“, „ელენე ხოშტარიას 5000-ლარიანი გირაო შეეფარდა - ის თანხის გადახდამდე ჰატიმრობაში დარჩება“,* 17.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [04.10.2025].

[60] Imedinews.ge, *ლევან მაჭვარიანის* განცხადება, 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; *არჩილ გორდულაძის* განცხადება, 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; *გურამ მაჭარაშვილის* განცხადება, 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; *გიორგი ვოლსკის* განცხადება, 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u>; „TV პირველი“, *„ქალი ქალს არ გავდა, კაცი კაცს არ გავდა“- კობახიძემ აქციის მონაწილეებს „სახედაკარგული ადამიანები“ უწოდა”*, 11.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [02.10.2025].

[61] Imedinews.ge, *„ნინო წილოსანი: ქალები ყველაზე ომახიანად აგინებდნენ ჩვენს მხარდამჭერებს და ყველაზე უმსგავსოდ იქცეოდნენ, ისინი მსხვერპლი კი არა, მოძალადეები იყვნენ - ფაშისტები არიან ქალებიც და კაცებიც“,* 09.09.2025, იხ. <u>ბმული</u> [02.10.2025].

პარტია „ქართული ოცნება“ პროტესტის მონაწილეების მიმართ არა მხოლოდ ორმაგ სტანდარტებს იყენებს, არამედ **მათვე აკისრებს პასუხისმგებლობას** მოძალადეების მიერ ჩადენილ უფლებადარღვევებზე. 2025 წლის 1 აგვისტოს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა, ყოფილმა ფეხბურთელმა, ბექა გოცირიძემ, რომელსაც, თვითმხილველების თქმით, თან ჰქონდა დანა, რუსთაველის გამზირზე მყოფ აქციის მონაწილეებს შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. 2025 წლის 16 აგვისტოს ბექა გოცირიძეზე ძალადობის საფუძვლით აქტივისტები **თორნიკე თოშხუა და მინდია შერვაშიძე** დააკავეს, მიუხედავად იმისა, რომ ბექა გოცირიძემ სოციალურ ქსელ „ტიკტოკზე“ შემთხვევიდან რამდენიმე წუთში განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებმა მისი ცემა ვერ მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ აქტივისტები დღემდე პატიმრობაში რჩებიან,[62] ბექა გოცირიძე კი „ქართული ოცნებისთვის“ არა დაპირისპირებაში მონაწილე პირს და პროვოკატორს, არამედ *„ჯგუფური ძალადობის მსხვერპლს“* წარმოადგენს.

2025 წლის 15 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი შენობიდან წამოსული მარშის მონაწილეებს ბესიკის ქუჩაზე თავს რამდენიმე პირი დაესხა. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, **ლევან ჯობავამ** და კიდევ ერთმა აქტივისტმა გაანეიტრალეს და პოლიციას ჩააბარეს. 16 წლის თავდამსხმელი რამდენიმე დღეში გაათავისუფლდა იმ საფუძვლით, რომ იარაღი პნევმატიკური იყო, სანაცვლოდ კი გამოძიება ძალადობის განხორციელების მუხლით დაიწყო. ლევან ჯობავასთვის როგორც ადგილზე, ასევე სასამართლოში გამოკითხვის დროს დასმული „მაპროვოცირებელი“ შეკითხვები აჩენს ეჭვს, რომ ძალადობის ბრალდებით დაკავების ობიექტი შესაძლებელია სწორედ ლევან ჯობავა გახდეს.[63] ნიშანდობლივია ვიდეოკამერების გასაჯაროვებულ ჩანაწერზე ტელეკომპანია „იმედის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს *„არასრულწლოვანს ფიზიკურად გაუსწორდა ლევან ჯობავა და აქციის კიდევ ერთი მონაწილე“*. საგულისხმოა *„პარლამენტის დეპუტატების“* მიერ გაკეთებული კომენტარებიც - ვლადიმერ ბოჟაძის განცხადებით ლევან ჯობავას *„112-ში უნდა დაერეკა“,* დავით მათიკაშვილის აზრით კი, ორი კაცი ფიზიკურად გაუსწორდა არასრულწლოვანს

---

[62] „რადიო თავისუფლება“, *„დემონსტრანტები თორნიკე თოშხუა და მინდია შერვაშიძე მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა“*, 06.10.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„ბექა გოცირიძე ვიდეომიმართვაში ამტკიცებდა, რომ აქტივისტებმა ვერ სცემეს - რა დაწერა საჩივარში?“,* 17.08.2025, იხ. ბმული [04.10.2025].

[63] „რადიო თავისუფლება“, *„დემონსტრანტებისთვის იარაღით „დამუქრებისთვის“ დაკავებული ბიჭი გაათავისუფლეს - სხვა გამოძიება დაიწყო ძალადობის მუხლით“*, 19.09.2025, იხ. ბმული; „პუბლიკა“, *„იყო მაპროვოცირებელი შეკითხვები“ - ლევან ჯობავა სასამართლოში გამოიკითხა“,* 18.09.2025, იხ. ბმული [04.10.2025].

და შემდგომ *„ამ ყველაფრის გასაღება ხდება იმ სოუსით, თითქოს, ეს ყველაფერი იარაღის წართმევის მიზნით იყო გაკეთებული“*.[64]

2025 წლის 3 ოქტომბერს ევროპის მოედანთან ე.წ. „ტიტუშკები“ **რკინის ნაჭერით თავს დაესხნენ** განცხადების გასაკეთებლად მისულ სტუდენტებს, რის შედეგადაც დაშავდა ორი აქტივისტი, მათ შორის იგორ ნარმანია. აღნიშნულ ფაქტზე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თავად იგორ ნარმანია დაესხა თავს 20 კაცით 2 ადამიანს და *„მოგერიების დროს ისიც კი ვერ მოახერხა, რომ თავში არ მოხვედროდა, იმიტომ, რომ „ნაცია“*. [65]

საპროტესტო მოძრაობის მიმართ წარმოებული მადისკრედიტირებელი კამპანია

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული საპროტესტო აქციების მონაწილეების წინააღმდეგ „ქართული ოცნება“ დღემდე აქტიურად აწარმოებს **მადისკრედიტირებელ კამპანიას** როგორც უშუალოდ პარტიის წევრების საჯარო განცხადებებით, ასევე პროპაგადისტული მედიების მიერ სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელებით.

პარტიის წევრების მიერ პროტესტის **„ნაცმაიდნად“**, „ევრომაიდნად“ მოხსენიება, რომლის მოწყობასაც „ქართული ოცნება“, გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით, არ დაუშვებდა.[66] „ქართული ოცნების“ წევრები საპროტესტო აქციებს *„რადიკალური ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს“*, ხოლო თავად დემონსტრანტებს დღემდე - **„მოძალადეებს“, „რადიკალებს“, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“** უწოდებენ, [67] რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და

---

[64] Imedinews.ge, *„ვრცელდება კადრები, სადაც ჩანს თუ როგორ უსწორდება ფიზიკურად არასრულწლოვანს ლევან ჯობავა და აქციის კიდევ ერთი მონაწილე“*, 21.09.2025, იხ. ბმული; *დავით მათიკაშვილის განცხადება*, 21.09.2025, იხ. ბმული; *შალვა ჰაპუაშვილის განცხადება*, 22.09.2025, იხ. ბმული; „TV პირველი“, *„112-ში უნდა დაერეკა“ - ლადო ბოჟაძე ლევან ჯობავას აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან იარაღიანი ტიტუშკა გაანეიტრალა“*, 22.09.2025, იხ. ბმული [04.10.2025].

[65] „პუბლიკა“, *„ევროპის მოედანთან აქტივისტებს თავს დაესხნენ - დაშავდნენ იგორ ნარმანია და არასრულწლოვანი აქტივისტი“*, 03.10.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება*, 04.10.2025, იხ. ბმული [05.10.2025]

[66] Imedinews.ge, *კახა კალაძის განცხადება*, 30.11.2024, იხ. ბმული; *ვლადიმერ ბოჟაძის განცხადება*, 30.11.2024, იხ. ბმული; *არჩილ გორდულაძის განცხადება*, 30.11.2024, იხ. ბმული [02.10.2025].

[67] Imedinews.ge, *სოზარ სუბარის განცხადება*, 29.11.2024, იხ. ბმული; *შალვა ჰაპუაშვილის განცხადება*, 01.12.2024, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება*, 02.12.2024, იხ. ბმული; *ლევან მაჭავარიანის განცხადება*, 02.12.2024, იხ. ბმული; *რატი იონათამიშვილის განცხადება*, 02.12.2024, იხ. ბმული; *მაია ბითაძის განცხადება*, 20.03.2025, იხ. ბმული; *ეკა სეფაშვილის განცხადება*, 12.06.2025, იხ. ბმული; *შალვა ჰაპუაშვილის განცხადება*, 16.09.2025, იხ. ბმული; *ლევან მახაშვილის განცხადება*, 29.09.2025, იხ. ბმული; *ნინო წილოსანის განცხადება*, 30.09.2025, იხ. ბმული [02.10.2025].

პროტესტის მონაწილეების დისკრედიტაციას ემსახურება. ნიშანდობლივია, რომ ტელეკომპანია „იმედი“ და „POSTV“ დემონსტრანტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას პარტიის წევრების განცხადებებისგან დამოუკიდებლადაც აქტიურად იყენებს ტერმინ *„რადიკალებს“*. მნიშვნელოვანია აღინიშნოს „ქართული ოცნების“ წევრების მიერ დემონსტრანტების წინააღმდეგ მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოებისთვის განცხადებებში გამოყენებული ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა - **„უსამშობლოები“**, **„ფაშისტები“**, **„ლიბერალ-ფაშისტები“**.[68] საგულისხმოა, რომ 2025 წლის 9 აპრილის შემდეგ აქციის მონაწილეების შესახებ გაკეთებულ განცხადებებს დაემატა მიმართვა - **„როდიონოვები“**. „ქართული ოცნების“ წევრებმა - *შალვა პაპუაშვილმა* და *მამუკა მდინარაძემ* - აქციის მონაწილეები იგორ როდიონოვს შეადარეს, რომლის ბრძანებითაც 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე სასტიკი და ძალისმიერი დარბევით მშვიდობიანი დემონსტრანტები დახოცეს.[69] „ქართული ოცნება“ პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ასევე აქტიურად იყენებს სიტყვებს - **„აგენტურა“**, **„უცხოური აგენტურა“**, **„გარე მტრების აგენტები“, „ორკები“**, **„აკაცუკები“**,[70] რომლებიც უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და დემონსტრანტების დისკრედიტაციას ემსახურება.

2025 წლის 3 სექტემბერს, კახა კალაძის საარჩევნო შტაბის გახსნაზე, „ქართული ოცნების“ წევრებისა და მხარდამჭერების მიერ აქციის მონაწილეების ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფაზე პარტიის წევრებს კომენტარი არ გაუკეთებიათ - ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა დემონსტრანტები დაადანაშაულეს ძალადობაში და მათ **„ნაცი ორკები“**, **„ნაცი ტიტუშკები“, „სახედაკარგული ადამიანები“** უწოდეს, რომელთაც *„მკურნალობა სჭირდებათ, თუკი დაექვემდებარებიან ამ ყველაფერს“*.[71] კახა კალაძემაც აქციის მონაწილეებს „ტიტუშკები“ უწოდა და აღნიშნა, რომ „მაიკლ ჯექსონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, **„ტრილერს“,** ალბათ, მათი ჩართულობით

---

[68] Imedinews.ge, *ნინო წილოსანის განცხადება,* 12.12.2024, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 06.12.2024, იხ. ბმული; *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 05.12.2024, იხ. ბმული; *სოზარ სუბარის განცხადება,* 13.12.2024, იხ. ბმული; *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 13.12.2024, იხ. ბმული; *ირაკლი ზარქუას განცხადება,* 23.01.2025, 21.03.2025, იხ. ბმული, იხ. ბმული; *ლევან მაჭავარიანის განცხადება,* 29.04,2025, იხ. ბმული [02.10.2025].

[69] Imedinews.ge, *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 09.04.2025, იხ. ბმული; *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 10.04.2025, 12.04.2025, იხ. ბმული, იხ. ბმული [03.10.2025].

[70] Imedinews.ge, *მამუკა მდინარაძის განცხადება,* 23.06.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება,* 18.08.2025, იხ. ბმული; *რატი იონათამიშვილის განცხადება,* 10.09.2025, იხ. ბმული; *სოზარ სუბარის განცხადება,* 27.09.2025, იხ. ბმული; *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 27.09.2025, იხ. ბმული [03.10.2025].

[71] Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება,* 04.09.2025, იხ. ბმული; *შალვა პაპუაშვილის განცხადება,* 04.09.2025, იხ. ბმული [03.10.2025].

თავიდან გადაიღებდა, *არც გრიმი დასჭირდებოდა, არც ვიზაჟისტები, არც კოსტუმები“*.[72]

2025 წლის 8 სექტემბერს კახა კალაძის შტაბთან აქციის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას „ქართული ოცნების“ წევრები კვლავ დისკრიმინაციული და მადისკრედიტერებელი ფრაზებით გამოეხმაურნენ. **კახა კალაძემ** აქციის მონაწილე ქალების ცემაზე განაცხადა, რომ „არცერთი არ იყო ქალი, რაღაც სხვა ჯიში იყო“. მან დემონსტრანტებს *„30 აკაცუკი“* უწოდა და დასვა კითხვა, თუ რა უნდოდათ ამ ადამიანებს საარჩევნო შტაბთან. [73] ქალი დემონსტრანტები შეურაცხმყოფელი ფრაზით მოიხსენია „პარლამენტის დეპუტატმა“ **ირაკლი ზარქუამაც** და მათ „ქაჯები“ უწოდა, ნინო წილოსანმა კი - „ფაშისტი ქალები“.[74]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის სამიზნეს არა კოლექტიურად პროტესტის მონაწილეები, არამედ **კონკრეტული დემონსტრანტი** წარმოადგენს. *მაგალითად*, 2025 წლის 2 სექტემბერს მიმდინარე აქციაზე სხვა 25-ამდე აქტივისტთან ერთად დააკავეს „ქართული ოცნების“ წევრისა და „თბილისის საკრებულოს დეპუტატობის“ კანდიდატის, ოთარ ჩრდილელის, შვილი, *ანუკი ჩრდილელი*. დაკავების შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულმა პირებმა დემონსტრანტის წინააღმდეგ დეზინფორმაციის, დისკრედიტაციის კამპანია დაიწყეს - გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია, რომ ანუკის მენტალური პრობლემები აქვს და *„მასზე რადიკალები მანიპულირებდნენ“*.[75]

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ წევრები საპროტესტო აქციების მონაწილეთა დისკრედიტაციისთვის 2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებულ პროტესტამდეც იყენებდნენ ისეთ მიმართვებს, როგორებიცაა: *„რადიკალები“, „უსამშობლოები“, „ფაშისტები“* და სხვ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარტიის წევრებს შორის ერთგვარად „გადანაწილებულია“ დემონსტრანტების შეურაცხმყოფელი ფრაზები - რომელმა წევრმა რომელი სიტყვა უნდა გამოიყენოს განცხადებებში. მაგალითად, სიტყვა *„უსამშობლოებს“* ყველაზე

---

[72] სოციალური ქსელი „ფეისბუქი“, „პუბლიკის“ გვერდი, *„თბილისის მერი, კახა კალაძე მელიქიშვილის გამზირზე გუშინ გამართულ აქციას გამოეხმაურა, სადაც მოქალაქეები კალაძის საარჩევნო შტაბის გახსნის პარალელურად შეიკრიბნენ“*, 04.09.2025; იხ. ბმული [03.10.2025].

[73] „რადიო თავისუფლება“, *„დაპირისპირებაში არა ქალები, არამედ „რაღაც სხვა ჯიში“ მონაწილეობდა, ამბობს კალაძე, რომლის შტაბთანაც გუშინ ქალებს სცემეს“*, 09.09.2025; იხ. ბმული [03.10.2025].

[74] „TV პირველი“, *„ზარქუა ქალ აქტივისტებს ლანძღავს: სად ნახეთ ქალები? ქალები კი არა, ქაჯები იდგნენ“*, 09.09.2025; იხ. ბმული; *„ნინო წილოსანმა ნაცები ქალები „მოძალადეებად“ გამოაცხადა“*, 09.09.2025, იხ. ბმული [03.10.2025].

[75] „რადიო თავისუფლება“, *„აუცილებლად ვუჩივლებ“ – „ოცნების“ დეპუტატის შვილი ქალზე, რომელმაც მისი დისკრედიტაცია სცადა“*, 04.09.2025, იხ. ბმული; Imedinews.ge, *თამთა მეგრელიშვილის განცხადება*, 02.9.2025, იხ. ბმული; გია აბაშიძის განცხადება, 02.9.2025, იხ. ბმული [03.10.2025].

ხშირად ირაკლი ზარქუა იყენებს, *„აკაცუკებს""*- კახა კალაძე, *„ორკებს"*- შალვა პაპუაშვილი და ირაკლი კობახიძე.

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროტესტის ფარგლებში პოლიტიკური ნიშნით 70-ამდე პირია დაკავებული/დაპატიმრებული, რომელთაც საზოგადოება „სინდისის პატიმრებად" მოიხსენიებს. პარტია „ქართული ოცნება" როგორც წევრების განცხადებებით, ასევე პროპაგანდისტული მედიების მეშვეობით დღემდე აქტიურად ახორციელებს აღნიშნული პირების მადისკრედიტირებელ კამპანიას, რომელიც ძირითადად **დეზინფორმაციის გავრცელებასა** და **უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას** მოიცავს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, პირები, რომელთაც „სინდისის პატიმრებს" უწოდებენ, *„სინამდვილეში, <u>უსინდისო ქმედებების გამო</u> არიან კონკრეტული ბრალის ქვეშ"*. [76] ირაკლი კობახიძემ და შალვა პაპუაშვილმა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირები **„სინდისის მოძალადეებადაც"** მოიხსენიეს. [77] „ქართული ოცნების" წევრები თავიანთ განცხადებებში [78] ასევე უგულებელყოფენ საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას - კახა კალაძის აზრით, საქართველოს არა პოლიტპატიმრები, არამედ *„პოლიტიკოსები ჰყავს, რომლებიც კონკრეტულ საქმეებში არიან დამნაშავეები"*.

---

[76] Imedinews.ge, *„ირაკლი კობახიძე: პატიმრები, რომლებსაც უწოდებენ სინდისის პატიმრებს, სინამდვილეში, უსინდისო ქმედებების გამო არიან კონკრეტული ბრალის ქვეშ"*, 15.08.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[77] Imedinews.ge, *ირაკლი კობახიძის განცხადება*, 30.09.2025, იხ. ბმული; *შალვა პაპუაშვილის განცხადება*, 01.10.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

[78] Imedinews.ge, *ლევან მაჭავარიანის განცხადება*, 14.03.2025, იხ. ბმული; *ეკა სეფაშვილის განცხადება*, 12.06.2025, იხ. ბმული; *კახა კალაძის განცხადება*, 03.10.2025, იხ. ბმული [05.10.2025].

სამართლებრივი ანალიზი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებას დაიცვას *ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები*.[79] **საქართველოს კონსტიტუცია** განამტკიცებს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას, თავისუფლების უფლებას, შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა განუხრელი დაცვა დემოკრატული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტს წარმოადგენს. სახელმწიფოს, ერთი მხრივ, აქვს **პოზიტიური ვალდებულება**, დაიცვას ზემოაღნიშნული უფლებები და თავისუფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, **ნეგატიური ვალდებულება** - თავი შეიკავოს მათი დარღვევისგან. თავის მხრივ, ნეგატიური ვალდებულება *დარღვეული უფლების ეფექტიან დაცვასაც* მოიცავს.[80] 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში „ქართული ოცნება“, ერთი მხრივ, არ უზრუნველყოფს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა სიცოცხლის, ღირსების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების დაცვას, პირიქით - აქციის მონაწილეთა მიმართ *ფიზიკური ძალადობით, წამებითა და არაადამიანური მოპყრობით* თავადვე არღვევს ზემოაღნიშნულ უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ,

---

[79] საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, იხ. ბმული [08.10.2025].

[80] *კორკელია კ., „ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“*, ქ. თბილისი, შპს „პეტიტი“, 2007, გვ. 13-14, იხ. ბმული [08.10.2025].

არ ახორციელებს პროტესტის მონაწილეთა დარღვეული უფლებების ეფექტიან დაცვას, რაც *სამართლიანი სასამართლოს* უფლების დარღვევაშიც გამოიხატება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაზღვრავს ხელშემკვრელი მხარეების <u>პოზიტიურ ვალდებულებას</u> ყველასთვის უზრუნველყონ კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები. [81] კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება დაუშვებლად მიიჩნევს პირისთვის თავისუფლების აღკვეთას, კონვენციით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, *მაგალითად,* როდესაც არსებობს ამ პირის მიერ *სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი*. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება“ დღემდე უკანონოდ აკავებს/აპატიმრებს პროტესტის მონაწილეებს და თავისუფლების აღკვეთას არა სამართალდარღვევის ჩადენაზე რეაგირების ან ჩადენის პრევენციის მიზნით, არამედ **პროტესტის ჩახშობისა** და მასში ჩართული **პირების დევნისთვის** იყენებს, რითაც ამავდროულად არღვევს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებულ *გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებებს* და მე-18 მუხლით *განმტკიცებულ უფლებათა შეზღუდვის ფარგლებს*. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული ზომის პროპორციულობის განხილვისას, მნიშვნელოვანია შესაძლო „მსუსხავი ეფექტის“ განხილვაც, ვინაიდან შეკრების მონაწილეთა *დაკავებამ, დაპატიმრებამ ან/და შემდგომმა ადმინისტრაციულმა მსჯავრდებამ* შესაძლებელია გამოიწვიოს მსგავსი სახის შეკრებებში მონაწილეობისგან თავის შეკავება. [82] სწორედ ამიტომ გამოყენებული სანქციის/სასჯელის ბუნება და სიმკაცრე გასათვალისწინებელი ფაქტორია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად. ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ნეგატიური ვალდებულების დარღვევას თან სდევს პროტესტის მონაწილეებისთვის ეფექტიანი დაცვის საშუალებების გარანტირების ფაქტობრივი „მოსპობა“ – 2025 წლის ივნისიდან აკრძალულია სასამართლო სხდომების გაშუქება, რაც ზღუდავს საქმეთა განხილვის *საქვეყნოობის პრინციპს;* სასამართლო როგორც „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“, ასევე წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა ადმინისტრაციულ საქმეებზე პროტესტის მონაწილეებს უმეტეს შემთხვევაში სამართალდამრღვევებად ცნობს, სისხლის სამართლის საქმეებზე კი გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს, რაც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობაზე და *საქმის სამართლიანი განხილვის* უფლების მასობრივ დარღვევაზე მიანიშნებს.

უფლებათა დაცვის ნეგატიურ ვალდებულებას განამტკიცებს **„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც“**, რომელიც

---

[81] *„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“,* 1-ელი მუხლი, იხ. <u>ბმული</u> [08.10.2025].

[82] Mzhavanadze and Rukhadze v. Georgia, nos. 29760/21 and 33931/21, § 81, 15 July 2025, იხ. <u>ბმული</u> [09.10.2025].

პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით უზრუნველყონ ნებისმიერი პირი, რომლის უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, *იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა.* [83] საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლი იცავს ადამიანის თავისუფლებას და კრძალავს *თვითნებურ დაკავებას* ან დაპატიმრებას. იგი ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრებ პირს აღჭურვავს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის *სამართლიანი და საჯარო გარჩევის* უფლებით, რასაც „ქართული ოცნება“ 2024 წლის ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში ყოველდღიურად არღვევს. საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე პირს აქვს უფლება *ითვლებოდეს უდანაშაულოდ* მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნების“ წევრები საჯარო განცხადებებში დღემდე კოორდინირებულად არღვევენ ზემოაღნიშნულ პრინციპს - პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების *უდანაშაულობის პრეზუმციას.* ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ დაკავებული პირების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობით - წამებითა და არაადამიანური მოპყრობით ასევე არღვევს საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლს, რომელიც თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ *ჰუმანურად მოქცევისა და მისი ღირსების პატივისცემის* უფლებას განამტკიცებს. როგორც საერთაშორისო პაქტი, ასევე **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**[84] და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის საერთაშორისო დონეზე მოქმედი ყველა სხვა სამართლებრივი დოკუმენტი კრძალავს *წამებას, სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას* - იმ მძიმე დანაშაულებს, რომელთა შემთხვევებსაც „ქართული ოცნება“ არ იძიებს და „ცალკეულ ინციდენტებად“ მოიხსენიებს.

სახელმწიფოს აქვს <u>პოზიტიური ვალდებულება</u> ყველანაირი შეკრების კონტექსტში დაიცვას *სიცოცხლისა და არაადამიანური* და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის უფლება, მიუხედავად იმისა, თავად შეკრება ხვდება თუ არა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში. [85] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ შეკრების დაშლა ან ძალის გამოყენება ყოველთვის შეზღუდულად, თავშეკავებით უნდა მოხდეს - პროპორციული ძალის გამოყენებით შეკრების დაშლა *უკიდურეს ზომას უნდა*

---

[83] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) *„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“*, მე-2 მუხლი, მე-3 პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი. იხ. <u>ბმული</u> [09.10.2025].

[84] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) *„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“*, მე-5 მუხლი, იხ. <u>ბმული</u> [09.10.2025].

[85] ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (2020), *„გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ“*, მე-3 გამოცემა. პარაგრაფი 175, გვ. 67, იხ. <u>ბმული</u> [09.10.2025].

წარმოადგენდეს, რომელსაც წინ აუცილებლად უნდა უძღოდეს შეკრების მშვიდობიანი ბუნების შენარჩუნების მიზნით სამართალდამცავების მიერ დაძაბული სიტუაციის *გონივრული, ნაკლებად აგრესიული ზომებით* მოგვარებისთვის გაწეული ძალისხმევა.[86] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპოლიციო ძალების მიერ ძალის გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში *მინიმალური აუცილებლობით, თავშეკავების, პროპორციულობის, ზიანის მინიმიზაციისა და სიცოცხლის შენარჩუნების პრინციპების* დაცვით უნდა მოხდეს და აღნიშნულს წინ აუცილებლად უნდა უძღოდეს მკაფიო და არაორაზროვანი გაფრთხილება, რომელიც დემონსტრანტებს მისცემს საკმარის დროს ტერიტორიის დასატოვებლად. ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ ზემოგანხილულ პრინციპებს 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში არ იცავდა და თვითნებურად ახორციელებდა მშვიდობიანი დემონსტრანტების ძალადობრივი და არაპროპორციული ფორმებით დარბევას, რაც აქციის მონაწილეთა უსაფუძვლო დაკავებებთან ერთად, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე *„ქართული ოცნების“ რეაგირების ერთგვარ მექანიზმს* წარმოადგენს.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებსა და უმოქმედობაზე. დარღვევების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა შეუწყონ ხელი შეკრებების კონტექსტში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ანგარიშვალდებულების კულტურის დამკვიდრებას.[87] **სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება ეფექტიანად, მიუკერძოებლად და დროულად გამოიძიონ** შეკრებების კონტექსტში სამართალდამცავების მიერ უფლებამოსილების/ძალის უკანონო გადამეტების ან სხვა დარღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ბრალდება ან გონივრული ეჭვი. როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევად ჩაითვალოს, მსხვერპლთათვის კი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური საშუალებები.[88]

---

[86] იქვე, პარაგრაფი 176, 179.

[87] *გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2020 წლის N37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების უფლების (21-ე მუხლის) შესახებ*, გვ. 15, პარაგრაფი 89, იხ. ბმული [09.10.2025].

[88] იქვე, პარაგრაფი 90.

დასკვნა

2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტში სხვადასხვა ფორმით ჩართული პირების კოორდინირებულ და სისტემურ დევნას „ქართული ოცნება“ როგორც ქმედებით, ასევე უმოქმედობით ახორციელებს. *ქმედება გამოხატება* დემონსტრანტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ ფიზიკურ ძალადობაში, წამებაში, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობაში, უსამართლო დაჯარიმებასა და დაპატიმრებაში, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ რეპრესიული კანონების მიღებაში/აღსრულებაში და სხვ. რაც შეეხება *უმოქმედობას,* პროტესტის მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების მიზნით **არ იწარმოება ობიექტური გამოძიება** *(ზოგიერთ შემთხვევაში, არც კი იწყება)*. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში დღემდე არ არიან მიცემულნი ის პირები, რომლებიც ფიზიკურად უსწორდებოდნენ დემონსტრანტებს/ჟურნალისტებს. „ქართული ოცნება“, ერთი მხრივ, მოძალადეთა დაუსჯელობით, ხოლო, მეორე მხრივ, არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების *პირდაპირი/ირიბი მხარდაჭერით ახალისებს* აქციის მონაწილეთა დევნას.

„ქართული ოცნების“ წევრები დაშავებული დემონსტრანტების საქმეთა გამოუძიებლობას თავდამსხმელების იდენტიფიცირების შეუძლებლობით ხსნიან, მაშინ, როცა სათვალთვალო კამერების მეშვეობით სახის დამფარავი საშუალებების მქონე დემონსტრანტებსაც კი აჯარიმებენ „გზის ხელოვნურად

გადაკეტვის“ უსამართლო საფუძვლით, რაც *მართლმსაჯულების შერჩევით სტანდარტზე* მეტყველებს.

„ქართული ოცნება“ **ორმაგ სტანდარტებს** იყენებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროტესტის მონაწილეებზე თავდამსხმელების იდენტიფიცირება შესაძლებელია. პარტია პროტესტის მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებს **მასტიგმატიზებელი** და **მადისკრედიტირებელი კამპანიითაც** პასუხობს - საჯარო განცხადებებითა და პროპაგანდისტული მედიების მეშვეობით დემონსტრანტებს *„რადიკალებად“, „მოძალადეებად“, „ფაშისტებად“, „უსამშობლოებად“* და სხვა ისეთი ტერმინებით მოიხსენიებს, რომლებიც უარყოფითი კონოტაციის შემცველია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება. პარტიის წევრების განსაკუთრებულ სამიზნეს ხშირ შემთხვევაში პროტესტის ქალი მონაწილეები წარმოადგენენ. ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ აქტიურად ახორციელებს *პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების* დისკრედიტაციასაც მათ შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებითა და უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევით, რისთვისაც როგორც საჯარო განცხადებებს, ასევე „იმედისა“ და „POSTV-ანალიტიკის“ სოციალური ქსელების გვერდებს იყენებს.

რეკომენდაციები

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს (ვოლკერ ტურკს):*

- მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეწყვიტოს მიმდინარე პროტესტში სხვადასხვა ფორმით ჩართული პირების დევნა *(თავდასხმა, ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა, უკანონო დაკავება/დაჯარიმება/დაპატიმრება და სხვ.)* და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება - *ობიექტურობის, ეფექტიანობისა და ყოველმხრივი გამოკვლევის პრინციპზე დაყრდნობით* - გამოიძიოს მიმდინარე აქციების ფარგლებში შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის/არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შედეგად დაზარალებული დემონსტრანტების საქმეები.

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს:*

თვალი ადევნოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციას და საკუთარი მანდატის ფარგლებში მიიღოს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირებისკენ მიმართული ზომები.

▼ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებლებს:*

- **წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხზე** სპეციალურ მომხსენებელს (ალისა ჯილ ედვარდსს):

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, ობიექტურობის პრინციპის დაცვით გამოიძიოს 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე აქციების ფარგლებში შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის/არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ პროტესტის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები და მათ მიმართ მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

- **მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების** საკითხზე სპეციალურ მომხსენებელს (ჯინა რომეროს):

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეთა დაშინებისა და დევნის მიზნით მათი შეკრების თავისუფლების შეზღუდვა - პროტესტის მონაწილეთა დაჯარიმება და დაკავება მათ მიერ მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზებისას; უზრუნველყოს აქციის მონაწილეთა მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

- **მოსამართლეთა და ადვოკატების დამოუკიდებლობის** საკითხზე სპეციალურ მომხსენებელს (მარგარეტ სატერტვეიტს):

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“ - უზრუნველყოს იმ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, რომლებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის მონაწილეთა საქმეებს განიხილავენ; მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება იმ მოსამართლეთა მიმართ, რომლებმაც მიმდინარე პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ დაუსაბუთებელი და უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღეს.

▼ *ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს (მაიკლ ო'ფლაჰერტის):*

- მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეასრულოს 2025 წლის 26 მარტის მემორანდუმით [89] გაცემული რეკომენდაციები და მეთვალყურეობა გაუწიოს პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან მათ შესრულებას;

- მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, უზრუნველყოს პროტესტის მონაწილეთა მიმართ განხორციელებულ

[89] Council of Europe - Commissioner for Human Rights, *"Memorandum on the human rights situation in Georgia"*, 26 March 2025; იხ. ბმული [11.10.2025].

უფლებადარღვევებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

▼ *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE):*

- მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, *„ვენის მექანიზმის“* ამოქმედების ფარგლებში გაგზავნილ წერილში დასმულ საკითხებზე წარადგინოს დეტალური ინფორმაცია;
- 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ფარგლებში მომხდარ უფლებადარღვევებთან მიმართებით აამოქმედოს *„მოსკოვის მექანიზმი“*.

▼ *ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად:*

- მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეასრულოს 2025 წლის 15 ოქტომბერს კომისიის მიერ გაცემული დასკვნა (მოსაზრება)[90] კანონებზე, რომლებიც *„უცხოურ გავლენას“* შეეხება.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს/პირებს

▼ *პარტია „ქართული ოცნების“ წევრებს:*

შეწყვიტონ პროტესტის მონაწილეთა შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება და მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოება.

▼ *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:*

შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეთა მიმართ თვითნებური და უკანონო ქმედებების *(უსაფუძვლო დაკავება, დაჯარიმება)* განხორციელება და *ორმაგი სტანდარტების* გამოყენება - მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება იმ პირების მიმართ, რომლებიც თავს ესხმიან, ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ და ემუქრებიან დემონსტრანტებს.

▼ *საქართველოს პროკურატურას:*

შსს-ს/არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის, შესაძლო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გამოიძიოს სრულად და

---

[90] The European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *“Georgia - Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the amendments to the Law on Grants and other Laws relating to “foreign influence”“*, 15 October 2025, Strasbourg; იხ. ბმული [11.10.2025].

ობიექტურად, უფლებადარღვევების სწრაფი, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე.

▼ *საქართველოს საერთო სასამართლოებს:*

როგორც პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ, ასევე თავად პროტესტში სხვადასხვა ფორმით ჩართული პირების მიერ წარდგენილ სარჩელებზე უზრუნველყონ ობიექტური, სრულყოფილი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

▼ *საქართველოს სახალხო დამცველს:*

შეისწავლოს პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული უფლებადარღვევების შემთხვევები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.